ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2211106

ნომერი: AR1344243

თარიღი : 24.09.2015

გაცემის თარიღი : 30.09.2015

გაცნობის თარიღი : 30.09.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი / ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , დიდი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რევაზ კრაწაშვილი პ/ნ 01005019259
- თბილისი წყალტუბოს ქ. კორ. 1 ბ. 45

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი 2015 წლის 24 სექტემბრის #AR1344243 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, საკადასტრო გეგმით #01.72.14.038.868 მიწის ნაკვეთზე საოჯახო ტიპის სასტუმროს მშენებლობისთვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელებას, კერძოდ: დატანილი განაშენიანების რეგულირების ხაზის კორექტირებას, გაცნობებთ შემდეგს:

"ჩარჩო გეგმის" შესაბამისად აღნშნულ ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება უნდა მომხდარიყო სამსახურის მიერ დადგენილი განაშენიანების რეგულირების 15.3 და 3 მეტრიანი ხაზების დაცვით რომლის მიღმადაც უნდა განთავსებულიყო ძირითადი შენობა–ნაგებობები (იხ. დანართი).

წარმოდგენილი სქემატური ნახაზიდან ირკვევა, რომ ტერიტორიაზე აშენებულია დამხმარე შენობა–ნაგებობა დატანილი განაშენიანების რეგულირების ხაზის დარღვევით, გამომდინარე აქედან დასაზუსტებელია მოთხოვნა რეგულირების ხაზის გაუქმებაზე და არა აშენებული ნაგებობის საზღვრის მიხედვით კორექტირებაზე. ამასთან დამატებით უნდა წარმოადგინოთ საპროექტო ტერიტორიის ამსახველი ფოტო მასალა სადაც ნათლად გამოჩნდება არსებული სიტუაცია და დარღვევით აშენებული დამხმარე ნაგებობა.

განაშენიანების რეგულირების ხაზის მოხსნაზე საკითხი უნდა განიხილოს „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭომ"

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge